პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 21 (409) პარასკევი, 26 მაისი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

გეგმების შესრულება — წინა პლანზე!

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ფიზიკური კულტურის მასობრივ განვითარებას უდიდესი ყურადღება ეთმობა. სპორტში მშრომელთა ფართო ფენების სულ ახალი მასები ებმებიან. საბჭოთა ხალხი ფიზკულტურულ მეცადინეობაში იკაკებს სხეულსა და ნებისყოფას, იგი სპორტში თავისი ყოველდღიური გმირული საქმიანობისათვის ენერგიის უშრეტ წყაროს ჰპოულობს,

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილება, რომელშიც თვალნათლივაა დასახული საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობის გზები, დიდი ხანია ჩვენს სამოქმედო პროგრამად იქცა.

გარდატეხა მოახდინა აგრეთვე სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში ზუსტი გეგმიანობის შემოღებამ.

საქართველოს სპორტული ორგანიზაციები საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი ძოწინავენი არიან მუდამ. რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გასულ წელს დიდი მუშაობა ჩაატარეს გეგმების დროულად და ხარისხობრივად რეალიზაციისათვის.

ენერგიული საქმიანობის შედეგად 1949 წლის სეზონში რესპუბლიკაში შესრულებულ იქნა გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. მაგრამ ყველა ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ როდი შეასრულა გეგმა. მისი განაღდება მოხდა თბილისისა და ქუთაისის საქალაქო, ქუთაისის, მახარაძის, თელავისა და სხვა მოწინავე რაიონულ ფიზკულტურულ ორგანიზაციათა ხარჯზე. 25 ქალაქისა და რაიონის ორგანიზაციამ არ შეასრულა შარშან მშთ კომპლექსის II საფეხურის ნიშნისანთა მომზადების გეგმა. ცუდი მდგომარეობა იყო ბევრ რაიონში (ახალციხე, დუშეთი, ყვარელი, ბორჯომი და სხვ.) მშთ I საფეხურის ნიშნისანთა და სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადებაშიც.

1950 წლის სპორტული სეზონი დიდი ხანია შევიდა თავის უფლებებში. საქართველოში უკვე ჩანჩქერივით სდღეს ფიზკულტურული ცხოვრება.

მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული წელს საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე. უნდა გვახსოვდეს, რომ 1950 წლის გეგმები ყველა ძირითადი მაჩვენებლით შესაჭიროებად აღემატება გასული წლის გეგმებს.

მალე ხუთი თვე შესრულდება, — მიმდინარე წლის თითქმის ნახევარი. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულება რესპუბლიკაში ჯერჯერობით სუსტად წარმოებს და ბევრგან იგი თვითდინებისათვის მიუნდვიათ.

აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იმ რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეპყრნენ გასულ წელს გეგმების შესრულებას, არ იქნა მიღებული მკაცრი ზომები. წლევანდელ საქმიანობაში ეს უნდა გავითვალისწინოთ და ის მუშაკები, რომლებიც უგულებელყოფენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას და თავიანთი საქმიანობის სფეროდან უშვებენ ამ სახელმწიფოებრივი ბნიშვნელობის ღონისძიებას, სასტიკად უნდა დაისაჯონ.

წლიდან წლობით ცუდადაა დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა სამხრეთ ოსეთში. გაყენულ წერტილიდან საქმეს აქ წელსაც არ ეტყობა ძვრა... 2.452 მშთ I საფეხურის ნიშნისანი უნდა მომზადდეს ოლქში, მაგრამ პირველი მაისისათვის აქ მხოლოდ 65 კაცმა ჩააბარა ნორმები. წელს აქ არც ერთი მშთ II საფეხურის ნიშნისანი არ მოუმზადებიათ.

არანორმალური მდგომარეობაა გეგმების შესრულების მხრივ ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ყვარლის, ხობის და სხვა რაიონებში.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უმოკლეს ხანში უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და ბოლშევიკური ენერგიულობით და გამიზნებით ისე წარმართონ საქმიანობა, რომ დროულად და ხარისხიანად შეასრულონ გეგმები. მუშაობის პროცესში აუცილებელია ნათლად წარმოვიდგინოთ შარშანდელი შეცდომები და ნაკლოვანებანი, საზრიანი ანალიზი გავუკეთოთ მათ, გამოვარკვიოთ და ღრმად შევისწავლოთ მათი ფესვები. შარშანდელმა შეცდომებმა წელს ადგილი არ უნდა ჰპოვონ.

საქართველოს ყველა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ პირნათლად უნდა შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დავალება. ასეთია ჩვენი ამოცანა. გეგმების შესრულება — წინა პლანზე!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის თბილისის საქალაქო და ქუთაისის რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რა ფიზკულტურასა და სპორტში 1949 წელს გაშლილ სრულიად საქართველოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, აღნიშნა, რომ მოსახლეობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ქალაქ თბილისსა და ქუთაისის რაიონში მოპოვებულია საუკეთესო მაჩვენებლები, რაც გამოიხატება ფიზკულტურულ კოლექტივებში მოსახლეობის მასობრივად ჩაბმაში, სასწავლო - სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში, სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოებაში და მის კარგად მოვლა-პატრონობაში.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო და ქუთაისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რომლებმაც ფიზკულტურისა და სპორტის ხაზით სრულიად საქართველოს სოციალისტურ შეჯიბრებაში დაიკავეს პირველი ადგილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს დაევალა გამოეყოს ფულადი პრემია შემდეგი რაოდენობით: თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის 7 ათასი მანეთი, ქუთაისის რაიონული საბჭოს აღმასკომისათვის 5 ათასი მანეთი ფიზკულტურის კომიტეტების იმ მუშაკთა დასაჯილდოებლად, რომლებმაც აქტიურად ხელი შეუწყეს ფიზკულტურასა და სპორტში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებას.

საბჭოთა მოჭადრაკეების გრწყინვალე გამარჯვება

დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი

ი. ბოლესლავსკი

ვ. სმისლოვი

დ. ბრონშტეინი

ვ. კერესი

ბუდაპეშტი. დამთავრდა დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. 18 მაისს შედგა XVIII დასკვნითი ტური. ბოლესლავსკიმ, რომელიც თეთრებით ეთამაშებოდა შტალბერგს, დებიუტში მიიღო მცირე უპირატესობა, მაგრამ არ მოისურვა თამაშის გართულება და მე-16 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მწვავე ბრძოლა გაიმართა ბრონშტეინსა და კერესს შორის. ბრონშტეინმა პარტიის დასაწყისშივე შეწირა პაიკი და ხელთ იგდო ინიციატივა. გამოიყენა რა კერესის არაზუსტი თამაში, ბრონშტეინმა განავითარა სასტიკი იერიში და 33-ე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო. ამრიგად, ბრონშტეინი დაეწია ბოლესლავსკის. ნაიდორფ-სმისლოვისა და ფლორ-კოტოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. საბომ დაამარცხა ლილიენტალი.

ტურნირი დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით. პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა დიდოსტატებმა ბოლესლავსკიმ და ბრონშტეინმა, რომლებმაც მოაგროვეს 12-12 ქულა. მესამე ადგილი ხვდა საბჭოთა დიდოსტატ სმისლოვს (10 ქულა), მეოთხე—საბჭოთა დიდოსტატ კერესს (9,5 ქულა), მეხუთე ადგილზე გამოვიდა ნაიდორფი (არგენტინა) 9 ქულით, მეექვსეზე —კოტოვი (სსრ კავშირი), რომელსაც აქვს 8½ ქულა, მეშვიდეზე—შტალბერგი (შვეცია), რომელსაც მოგროვილი აქვს 8 ქულა. მერვე, მეცხრე და მეათე ადგილები გაიყვეს ფლორმა (სსრ კავშირი), ლილიენტალმა (სსრ კავშირი) და საბომ (უნგრეთი), მათ მოაგროვეს 7-7 ქულა.

19 მაისს შედგა ტურნირის საზეიმო დახურვა.

ტურნირში მონაწილე საბჭოთა მოჭადრაკეების სახელით ბოლესლავსკიმ მხურვალე მადლობა გადუხადა უნგრეთის საჭადრაკო კავშირს შეჯიბრების მწყინვალე ორგანიზაციისათვის.

შეჯიბრების მონაწილეებს გადაეცათ ჯილდოები.

მთავარი მსაჯის შენიშვნები

კარელ ოპოჩენსკი

(ჩეხოსლოვაკია)

თვენახევრის ბრძოლის შემდეგ ბუდაპეშტში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტთა ტურნირი. ტურნირი წარმოადგენდა შერჩევით შეჯიბრებათა დასკვნითს რგოლს.

ტურნირის სპორტული შედეგები ბევრისათვის როდი იყო გასაკვირი. მთელი მსოფლიო იცნობს საბჭოთა მოჭადრაკეების განსაკუთრებით მაღალ კლასს, მოჭადრაკეებისა, რომელთაც ამ ბოლო დროს მრავალი განსაცვიფრებელი გამარჯვება მოიპოვეს.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოჭადრაკეების წინააღმდეგ მატჩებში და საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულმა გამარჯვებებმა საბჭოთა დიდოსტატებს დაუმკვიდრეს მსოფლიოს წამყვან მოჭადრაკეთა სახელი. ბუდაპეშტის ტურნირი დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების ახალი სახელოვანი გამარჯვებით: პირველი ოთხი ადგილი საბჭოთა დიდოსტატებმა დაიკავეს.

ტურნირში გამარჯვებულმა დიდოსტატებმა — ბოლესლავსკიმ და ბრონშტეინმა — გამარჯვებას სხვადასხვა გზით მიაღწიეს. ბოლესლავსკიმ თანაბრად და ზუსტად ჩაატარა ტურნირი და არც ერთი დამარცხება არ განუცდია. მან გვიჩვენა შესანიშნავი მომზადება და ღრმა თეორიული ცოდნა. ბრონშტეინი დიდხანს ჩამორჩებოდა ლიდერს, მაგრამ შესანიშნავი ფინიშით დაეწია მას. ბრონშტეინის სტილისათვის დამახასიათებელია მწვავე და შეუპოვარი იერიშები.

ტურნირის პირობების მიხედვით გამარჯვებულნი ახლო მომავალში ერთმანეთს შეხვდებიან მატჩში, რომელიც გადაწყვეტს, თუ რომელი მათგანი გამოვა ბოტვინიკის წინააღმდეგ მატჩში მსოფლიოს ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

რამდენიმედ ამედები გაუცრუეს თავიანთ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთ დიდოსტატებმა სმისლოვმა და კერესმა. სმისლოვმა მოგვცა რამდენიმე კარგი პარტია, მაგრამ ხშირად უშვებდა შეცდომებს და, ალბათ, საკმაოდ კარგად არ იყო მომზადებული ტურნირისათვის. კერესმა გამოამეღავნა შესანიშნავი ტექნიკა, მაგრამ იგი ძალიან პასიურად თამაშობდა.

არგენტინის წარმომადგენელს ნაიდორფს მეხუთე ადგილის დაკავებაში „ბედმა გაუღიმა". დიდოსტატი კოტოვი შეჯიბრების მთელ მანძილზე კონკურენციას უწევდა ლიდერებს, მაგრამ მან ფინიშთან ტემპი შეანელა.

ტურნირმა კვლავ დაადასტურა, თუ რა დიდი განსხვავებაა ჭადრაკის დარგში სსრ კავშირსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სსრ კავშირში მაღლდება საჭადრაკო ოსტატობა, ხდება ახალი ტალანტების განუწყვეტლივ დაწინაურება. კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილი აქვს საჭადრაკო ხელოვნების დეგრადაციას. კაპიტალისტურ სამყაროში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არ დაწინაურებულა არც ერთი გამოჩენილი ოსტატი. სსრ კავშირში ჭადრაკი გადაიქცა ნამდვილ სახალხო თამაშობად. ახლა მთელი მსოფლიო საბჭოთა დიდოსტატების პარტიების მიხედვით სწავლობს ჭადრაკს.

ტურნირი მოწყობილი იყო შესანიშნავად და მიიპყრო უნგრეთის საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება. მან დიდი ბიძგი მისცა უნგრეთში საჭადრაკო ხელოვნების განვითარებას.

უდავოა, რომ დამთავრებული შეჯიბრება დარჩება ჭადრაკის ისტორიაში, როგორც ბრწყინვალე ფურცელი.

საქართველოს მძლეოსანთა წარმავება

ბაქო. (ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის „დინამოს" სტადიონზე ორ დღეს გრძელდებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი.

სარბენ ბილიკზე და სექტორებზე გამართულ საინტერესო ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 308,5 ქულა.

მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის კოლექტივი (236,5 ქულა), მესამეზე — სომხეთის მძლეოსნები (154 ქულა).

საქართველოს გუნდის წევრებმა მოიპოვეს 20 პირველი, 15 მეორე და 9 მესამე ადგილები.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთ „ლელოს" შემდეგ ნომერში.

186 სანტიმეტრის სიმაღლეზე

კიევში ჩატარებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ახალი საკავშირო რეკორდი ჭაბუკთა შორის დაამყარა მეათეკლასელმა რ. ჟორდოჩკამ. სიმაღლეზე ხტომაში მან აჩვენა 186 სანტიმეტრი.

ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთში ამას წინათ დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ხაცხენოსნო სპორტში. რაიონის საუკეთესო მხედრები ოსტატურად ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას ისინდში, დოღში, მარულაში. კოლმეურნეთა საერთო მოწონება დაიმსახურა 13 წლის ა. კილაძემ, რომელმაც მარულაში გამარჯვებულის ალამი აიტაცა და რაიონის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა. **სურათზე:** ა. კილაძე შეჯიბრებისას.

ახალი რეკორდი

ა. ჩუდინას მილწევა

მოსკოვი. (ჩვენი კორ.). აქ შემდგარ მძლეოსნურ მატჩში მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის წარმომადგენელთა შორის ახალ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ (მოსკოვი).

ნიჭიერმა და მრავალმხრივმა სპორტსმენმა ამჯერად საკავშირო რეკორდი დაამყარა გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში. იგი გადაეცალა ლარტყას, რომლის სიმაღლე 1 მეტრი და 66 სანტიმეტრი იყო.

ვ. ვეშაგური—მეორე ადგილზე

სარატოვი, 25 მაისი. **(ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).** დამთავრდა კლასიკური ჭიდაობის საკავშირო ჩემპიონატის მატჩები უძრატეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში.

ქვემსუბუქ წონაში მეორე ადგილი და სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა ახალგაზრდა თბილისელმა ვ. ვეშაგურმა.

ქვემძიმე წონაში ჩემპიონი გახდა შ. ჩიხლაძე (მოსკოვი).

შავი ზღვის სანაპიროზე მცხუნვარე მზიანი ამინდებია. სოხუმში, ბათუმში, ფოთში, გაგრაში ასეთი დარები ახალგაზრდობას ზღვისაკენ მოუწოდებს. შუადღიდან დაბინდებამდე პლიაჟებზე გაისმის მოცურავეთა ყრიამული. **სურათზე:** ნორჩი სოხუმელები ზღვაში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲗᲘᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

19-20 მაისს ქ. თბილისში შედგა თათბირი ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ა. ფარულავამ.

თათბირმა მოისმინა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ი. ყანჩელის მოხსენება საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1950 წლის გეგმის შესრულების შესახებ, აგრეთვე მოხსენებები ადგილებიდან: ამხ. ი. წურწუმიასი — აფხაზეთში საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და გადამზადების შესახებ, ამხ. შ. შეკავანაძისა — აჭარაში სოფლის ფიზკულტურული კოლექტივებისათვის საზოგადოებრივი კადრების მომზადების შესახებ, ამხ. ა. ჩოგოვაძისა—ქ. ქუთაისში ხელმძღვანელ და საშტატო ფიზკულტურულ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოებული მუშაობის შესახებ და ამხ. გ. ფაჩულიასი—ქ. თბილისში მწვრთნელების ხელახალი აღრიცხვის ჩატარებისა და მწვრთნელთა კადრების სპეციალური კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ. საანგარიშო მოხსენებებით ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში—„ლოკომოტივ სა“ და „ბურევესტნიკში“ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების 1950 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ თათბირზე გამოვიდნენ ამხ. რ. ხაბალაშვილი და ს. გოგრაშვილი.

საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გასულ წელს ნაყოფიერად იმუშავეს და წარმატებითაც შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, შარშან რესპუბლიკური გეგმა ყველა რაიონისა და ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციის ხარჯზე კი არ შესრულებულა, არამედ ქალაქების თბილისისა და ქუთაისის, აგრეთვე მახარაძის, თელავის, ზუგდიდის, ქუთაისის, ახალაქალაქისა და სხვა იმ მოწინავე რაიონების ხარჯზე, რომელთა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. მაგალითად, გასულ წელს ფიზკულტურული კოლექტივების ჩამოყალიბების გეგმები არ შეასრულა 11 ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, მშთ II საფეხურის ნიშნოსნების მომზადებისა — 25 ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ და ა. შ.

იმისათვის, რომ წელს არავითარ შემთხვევაში არ განმეორდეს მსგავსი ხარვეზები, ადგილობრივ ფიზკულ-

თათბირი რესპუბლიკურ კომიტეტში

ტურულ ორგანიზაციებს დასჭირდებათ დაძაბული მუშაობა, მით უმეტეს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმები ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით შარშანდელთან შედარებით გაცილებით დიდია. მაგალითად, მშთ I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების დავალება გასული წლის დავალებაზე ერთნახევრით დიდია, მშთ II საფეხურისა კი ორჯერ და უფრო მეტით.

მაგრამ, როგორც ხუთი თვის მანძილზე გაწეული მუშაობა გვიჩვენებს, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულების საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. დღეისათვის საქართველოში მშთ I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა შესრულებულია 13,4 პროცენტით, II საფეხურისა—3,1 პროცენტით, იმშთ ნიშნოსნებისა — 27,7 პროცენტით. რაც შეეხება თანრიგოსნების მომზადებას, წლიური დავალება პირველ თანრიგზე შესრულებულია 14 პროცენტით, მეორეზე —21 პროცენტით, მესამეზე — 18 პროცენტით და მოზარდთა თანრიგზე —9 პროცენტით. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მთელმა რიგმა კომიტეტებმა თვითდინებას მიუშვეს გეგმების შესრულების საქმე. როგორც თათბირზე გამოირკვა, ზოგიერთი კომიტეტი ჩამორჩენის თავიდან დაღწევას „იერიშით“ აპირებს. მაგალითად, ხაშურის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ლაცაბიძემ თათბირს „ალუთქვა“, რომ გეგმების შესრულებაში გარდატეხის მისაღწევად ერთთვიურს ჩაატარებს(!?).

როგორც შარშან, ისე მიმდინარე წელსაც ძალიან ცუდად სრულდება მშთ ნიშნოსნების მომზადების გეგმები სამხრეთ ოსეთში (ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ალბოროვი). აქ მიმდინარე წლის 5 თვის მანძილზე, მაგალითად მშთ I საფეხურის ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმის ერთი მეათედიც კი არ არის შესრულებული. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციაც (რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. იმნაძე), სადაც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა ჯერაც არ არის დაყვანილი ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებამდე. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულების საქმეში ჯერჯერობით ჩამორჩებიან აგრეთვე ახალციხის, ყვარლის, ხობის, გორის, მაიაკოვსკის, მცხეთის რაიონები.

როგორც თათბირზე გამოირკვა, ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ფიზკულტურული მუშაკი ცდილობს თავისი მოუქნელი მუშაობა გეგმების შესრულების დარგში რაღაც „ობიექტური“ მიზეზებით ახსნას. თათბირის მონაწილეთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ხაშურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ვ. ლაცაბიძის გამოსვლამ, რომელმაც ახლა, როდესაც წლიური გეგმა შესრულებული უნდა იყოს თითქმის სანახევროდ, დაიწყო წუწუნი გეგმის ვითომდა არარეალურობის შესახებ.

რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსმა ამხ. ტ. კიკნაველიძემ და ზოგიერთმა სხვა მოკამათემ არსებული ნაკლოვანებები იმითაც ახსნეს, რომ ზოგიერთ რაიონში პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად ეხმარებიან ადგილობრივ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს გეგმების ვადამდე და ხარისხიანად შესრულებაში. საქართველოს კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიონულ კომიტეტს ჯერაც არ განუხილავს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები საქართველოში კალათბურთის განვითარებისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესახებ.

კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების „ნაუკას“, „მოლნიას“, „ბურევესტნიკის“ და სხვათა მუშაობა, სადაც ადგილი აქვს ჩამორჩენას თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადებაში.

ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში „ბურევესტნიკსა“ და „ლოკომოტივში“ არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აგრეთვე საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმე. ამ საზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს არა აქვთ ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად ჩასატარებელ ღონისძიებათა კალენდარული გეგმები.

კამათში სიტყვით გამოსულებმა (ამხ. გ. ჯალაღანიამ ზუგდიდიდან, ამხ. კ. ბეჟაშვილმა სიღნაღიდან, ამხ. კ. ხმელიძემ მახარაძიდან და სხვ.) აღნიშნეს, რომ უმრავლესი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების რესპუბლიკური საბჭოების წარმომადგენლები იშვიათად დადიან რაიონებში, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ არ იცნობენ თავიანთი ძირეული კოლექტივების საქმიანობას.

თათბირის მონაწილეებმა საბრალიანად უსაყვედურეს გაზეთ „ლელოს“ იმაზე, რომ იგი ჯერ კიდევ ნაკლებად ამხელს იმ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩამორჩენენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულებაში, რომ იგი იშვიათად აკრიტიკებს ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს ცუდი მუშაობისათვის. გამოთქვა აგრეთვე სურვილი, რომ გაზეთში რაც შეიძლება ხშირად წეროს მოწინავე ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ არა თუ ბევრი მოკამათის, არამედ ზოგიერთი მომხსენებლის გამოსვლაც თვითკრიტიკული არ იყო. მაგალითად, აფხაზეთის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. წურწუმიამ საქმე ისე წარმოუდგინა თათბირს, თითქოს საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმეში აფხაზეთს ყველაფერი რიგზე ჰქონდეს. სამდვილად წლიური გეგმით გათვალისწინებულ 1.801 კაცის ნაცვლად მიმდინარე წლის ხუთი თვის მანძილზე იქ მომზადებულია მხოლოდ 70 საზოგადოებრივი მუშაკი.

მოხსენებათა გარშემო გამართული კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. გ. კერესელიძემ (ქუთაისის რაიონი), მ. ტოტოლევმა (სამხრეთ ოსეთი), ვ. სამსონაძემ (მწვრთნელი, თბილისი), გ. სტეფანოვმა (თელავის რაიონი), ვ. კუზოვლევმა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი), მ. ოგანესიანმა (ახალქალაქის რაიონი), გ. მერკვილაძემ (განათლების სამინისტრო), ბ. ჯაფარიძემ (ონის რაიონი), მ. კაკაბაძემ (გაზ. „ლელოს“ რედაქტორი), თათბირზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა.

განხილული საკითხების გარშემო თათბირმა მიიღო სათანადო დადგენილებები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

საერთაშორისო სარბიელზე საბჭოთა სპორტსმენების ყოველ გამოსვლას ახალი გამარჯვება მოაქვს ჩვენთვის. დღეახამშობლოს მძლეოსნები და მოკრივეები, კალათბურთელები და ფრენბურთელები, მოჭიდავენი და შტანგისტები ღირსეულად იცავენ სოციალისტური სახელმწიფოს სპორტულ პრესტიჟს და შეჯიბრებებზე თავიანთ უბადლო ოსტატობას, სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას, გამარჯვებისაკენ შეუნელებელ ლტოლვას ცხადყოფენ.

ახლახან ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ტურნირში მსოფლიოს უძლიერესი გუნდები შეეცილნენ ერთმანეთს — წარმომადგენლები უნგრეთისა, ჩეხოსლოვაკიისა, პოლონეთისა, საფრანგეთისა, იტალიისა. შეხვედრებში აგრეთვე მონაწილეობდნენ რუმინეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, ისრაელისა და შვეიცის ნაკრები გუნდები.

ამ შეჯიბრებაშიც არ ჰყავდა ბადალი საბჭოთა კალათბურთელ ქალთა კოლექტივს. განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა ფინალური მატჩები, სადაც ჩვენმა კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს პოლონელი სპორტსმენები — 87 : 19, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 81 : 41, იტალიელ ქალთა ნაკრები — 66 : 17.

ტურნირის უკანასკნელ დღეს სსრ კავშირის ნაკრები შეხვდა უნგრელებს. მძაფრი ბრძოლა დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 45 : 32.

ამრიგად, სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გუნდმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტული (მატჩებში გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო შეფარდებით—508:154). მეორე ადგილზე გამოვიდნენ უნგრელები, მესამეზე —ჩეხოსლოვაკები.

უნგრეთის პრესა და რადიო უდიდეს ყურადღებას უთმობდა ამ საინტერესო ტურნირს.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ

დამთავრდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი სპარტაკიადა, რომელშიც 12 ფაკულტეტის 3.344 ფიზკულტურელი მონაწილეობდა. სტუდენტი-სპორტსმენები ერთი თვის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპორტის 14 სახეობაში.

სპარტაკიადამ დაადასტურა, რომ მძლეოსნობა სტუდენტთა საყვარელი სპორტია. რამდენიმე სტუდენტი აჭართველოს მძლეოსანთა ნაკრებ გუნდშიც კი ირიცხება (რ. ტრაპაიძე, ნ. ნებიერიძე, ნ. მალუძე და სხვ.).

კრივი უნივერსიტეტში შედარებით ახალი სახეა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რინგზე გამართულ ასპარეზობაში 57 მოკრივე შეერკინა ერთმანეთს. შეჯიბრებამ გამოამჟღავნა მონაწილეთა უმრავლესობის ტექნიკური მომზადების სისუსტე და ტექნიკური ხერხების სიღარიბე, ასევე მათი არასაკმაო ფიზიკური წრთობა.

ძალოსნობას ბევრი სტუდენტი მისდევს. უნივერსიტეტის გუნდი „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონია. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ზ. ლეშკაშელი, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი უ. ჭირაქაძე, ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი ო. ჭიჭინაძე და სპორტის ოსტატი გ. კოშაძე „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს რეკორდსმენები არიან.

ქართული ჭადაობა სტუდენტთათვის სპორტის ყველაზე პოპულარული სახეა. უნივერსიტეტის მოჭიდავეთა გუნდი ჭფლობს თბილისის თასს, სტუდენტი ს. მაისურაძე რესპუბლიკის სამგზის ჩემპიონია ქვესაშუალო წონაში. ამჯერად შეჯიბრებაში 70 მოჭიდავე მონაწილეობდა.

ყოველ ფაკულტეტზე კალათბურთისა და ფრენბურთის რამდენიმე გუნდია ჩამოყალიბებული. ვაჟთა შორის საუკეთესოა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კოლექტივი. უნივერსიტეტის ქალთა გუნდი საქართველოს ექსჩემპიონია და ჭფლობს რესპუბლიკის თასს. ყოველ ფაკულტეტს ყავს ფეხბურთელთა გუნდი. უნივერსიტეტში არის ორმოცამდე ჩოგბურთელი, მათ შორის საუკეთესონი არიან მ. ბაქრაძე, ე. კობახიძე, დ. შალამბერიძე და სხვები.

საინტერესოდ ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრებები ტანვარჯიშში, კლასიკურ ჭიდაობაში, ველოსპორტში, სროლაში, ჭადრაკში.

სპარტაკიადის უკანასკნელ დღეს მოეწყო მასობრივი ასვლა უძოს მთაზე, რომელშიც 3.000-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. ყველაზე ნაკლები დრო — 3 საათი — მოანდომა მწვერვალზე ასვლას ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტთა კოლექტივმა, მაგრამ ქულების მიხედვით პირველი ადგილი ეკონომიკის ფაკულტეტს დარჩა.

სპარტაკიადაზე დამყარდა უნივერსიტეტის 8 და „ნაუკას“ რესპუბლიკური საბჭოს 2 რეკორდი. 170-ზე მეტმა სტუდენტმა სათანადო ნორმატივები შეასრულა.

სპარტაკიადაში პირველი ადგილი მოიპოვეს ეკონომიკის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა — 72,5 ქულა (ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი გ. ჟორჟოლიანი).

მიუხედავად სტუდენტთა მასობრივი მონაწილეობისა, სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები ძლიერ დაბალია. შეჯიბრებებზე არც ერთი რესპუბლიკური ან საკავშირო რეკორდი არ დამყარებულა, ვერც ერთმა ფიზკულტურელმა ვერ აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმა.

Ჯ. ᲖᲐᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საერთაშორისო კატეგორიის მხაჟი.

დ. ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲒᲓᲐ „ᲜᲔᲤᲢᲘᲐᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ

ამას წინათ ქ. თბილისში ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნეფტიანიკის“ პირველი რესპუბლიკური კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ნეფტიანიკის“ ორგბიუროს თავმჯდომარის ამხ. ფ. გაგუას მოხსენება.

ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნეფტიანიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ფ. გაგუა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ავტო-სარემონტო ქარხნის ელექტრო-ტექნიკური საამქროს ფიზკულტურელები წარმოების მოწინავენი არიან. ისინი თავიანთ დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებენ. **სურათზე:** ელექტრო-ტექნიკური საამქროს საუკეთესო ზეინკალი ქალები ვარჯიშობენ რბენაში.

ფოტო კ. უუფარაძისა.

კეთილშობილური თაოსნობა

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტანმოვარჯიშე ლ. ყანჩაველმა ამ დღეებში საბჭოთა სპორტსმენისათვის დამახასიათებელი კეთილშობილური თაოსნობა გამოიჩინა. მან წერილით მიმართა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს, რომელშიც განაცხადა თავისი მზადყოფნა უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოების ტანვარჯიშული სექციის მწვრთნელად. ამხ. ლ. ყანჩაველი პირობას იძლევა, რომ ენერგიას არ დაიშურებს ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებისათვის.

„პიშჩევიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ამხ. ლ. ყანჩაველის საზოგადოებრივ მწვრთნელად დანიშვნის შესახებ.

ამხ. ლ. ყანჩაველის კეთილშობილური წამოწყება მაგალითის მიმცემი უნდა გახდეს ჩვენი სპორტსმენებისათვის.

ჭადრაკის დაუბამთან

დამთავრდა აფხაზეთის ასსრ XI საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა 15 კაცი.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ტყვარჩელელმა მოჭადრაკე გ. კაკაიაშვილმა, რომელმაც მოაგროვა 11,5 ქულა.

ნ. მიქაშავიძე

სოხუმი.

მსროლელთა შეჯიბრება

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.). არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ქალაქის სასროლ-სასპორტო კლუბი დიდ მუშაობას ეწევა მსროლელ-თანრიგოსანთა მოსამზადებლად.

ამ დღეებში ჩატარდა „დინამოსა“ და არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი ორგანიზაციის ნაკრები გუნდების შეჯიბრება, რომელშიც გამარჯვება მოიპოვეს არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მსროლელებმა. მათ 1.500 შესაძლებლიდან 1.168 ქულა მოაგროვეს.

ფეხბურთის მოედნებზე

სსრ კავშირის XII ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 25 მაისისათვის

ძირითადი შემადგენლობები

	თ.	მ.	ფ.	წ	ბ.	ქ.
ცდკა	8	5	3	0	15:6	13
„ზენიტი“	7	6	0	1	22:10	12
„კრ. სოვეტ“.	8	4	4	0	5:1	12
„დინამო“ თბ.	9	5	2	2	18:10	12
„სპარტაკი“ მ.	9	4	3	2	19:6	11
„ლოკომ“. მ.	8	3	4	1	11:10	10
„დინამო“ ლ.	8	4	1	3	11:10	9
ვ ვ ს	7	4	0	3	14:11	8
„დინამო“ მ.	8	3	2	3	9:8	8
„დაუგავა“	9	3	2	4	7:7	8
„შახტიორი“	9	3	2	4	11:11	8
„დინამო“ კ.	8	2	3	3	8:9	7
„დინამო“ ერ.	8	2	3	3	10:13	7
„ტორპედო“ სტ.	9	2	3	4	10:19	7
„დინამო“ მნ.	10	3	1	6	15:20	7
„ტორპედო“ მ.	8	1	3	4	5:12	5
„ნეფტიანიკი“	8	2	1	5	6:15	5
„ლოკომ“. ხ.	9	2	1	6	6:15	5
„სპარტაკი“ თბ.	8	2	0	6	6:15	4

„ასეთი მაგჩი დიდი ხანია არ გვინახავს“

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთელი მოსკოვი ამ მატჩის მოლოდინში იყო.

თბილისის „დინამო“ — დედაქალაქის „სპარტაკი“. მეტროში, ტროლეიბუსებში, ავტობუსებში, ტრამვაის ვაგონებში, დაწესებულებებში, პარკებში თითქმის ყველას პირზე ეკერა ეს ოთხი სიტყვა.

ამ ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრამდე (იგი 22 მაისს მოხდა) ოთხი დღით ადრე სტადიონის სალაროებში ვერც ერთ ბილეთს ვერ იშოვიდით. გაიყიდა შესასვლელი ბილეთებიც...

და აი, მატჩის დღეს 80.000-ზე მეტმა მაყურებელმა აავსო უზარმაზარი სტადიონის ტრიბუნები.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. შჩელჩკოვის (დონის როსტოვი) სასტვენის ხმაზე, ხალხის ტაშის გრიალში, მწვანე მინდორზე გამოვიდნენ თბილისელი და მოსკოველი ფეხბურთელები.

ძნელია ამ მატჩის სრულად გადმოცემა ისევე, როგორც აბობოქრებული ზღვის ღელვისა. მართლაც და ბობოქარი იყო ეს შეხვედრა: თავბრუდამხვევი ტემპი, ელვისებური კომბინაციები, მწვავე მომენტები.

თამაშის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. ორივე გუნდის ყოველი რგოლი გააზრებულად, სწრაფად და გაბედულად მოქმედებდა, მჭიდრო კავშირში ურთიერთ შორის.

ბევრი ეცადა ორივე მხარე ანგარიშის გახსნას, მაგრამ გაოფლიანებულმა ფეხბურთელები დასასვენებლად „შრალად“ წავიდნენ—0:0.

მეორე ტაიმში თბილისის დინამოელებმა თამაშის ბრწყინვალე ტექნიკა და ტექნიკა უჩვენეს აღტაცებულ მოსკოველთა. თუმცა, წუთიც არ იყო გასული, რომ სიმონიანმა შესანიშნავი გარღვევის შედეგად ძლიერი დარტყმით ბურთი თბილისელთა ბადეში გაახვია... ამან თითქოს ენერგია შეჰმატაო თბილისელთა იერიშებს. მთელი ტაიმის განმავლობაში ისინი შეუნელებლად უტევდნენ „სპარტაკს“. ძიაპშიპას თამაშს ხაზი უნდა გაესვას—მას მეტად მაღალი კლასის თავდამსხმელი სიმონიანი საიმედოდ ჰყავდა „ჩაკეტილი“.

სპარტაკელთა დაცვა (ვ. სოკოლოვი, სედოვი და სხვები) მონდომებით უმკლავდებოდა იერიშებს. შესანიშნავად ითამაშა ახალგაზრდა მეკარე ჩერნიშოვმა, რომელმაც რამდენიმე აუღებელი ბურთი მაინც აიღო.

21-ე წუთზე ერთ-ერთი მორიგი იერიშის დროს თბილისელთა მარჯვენა შუამარბმა ვარდიმიადმ ახლო მანძილიდან დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. 1:1.

ასე, ფრედ დამთავრდა ეს ძალზე საინტერესო მატჩი, შეხვედრა თანაბართა. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მხურვალე ოვაციებით გააცილა მოედნიდან ორივე გუნდი.

„ასეთი მატჩი დიდი ხანია არ გვინახავს“,—ეს იყო მოსკოველთა საერთო აზრი.

★★★

საქართველოს 1950 წლის პირველობა



პირველი ჯგუფი

I წრე

თარიღი	გუნდები	თამაშის დრო	მსაჯი
28 მაისი	„დინამო“ (გორი)—„დინამო“ (ფოთი)	18.00	ს. პანდელოვი
	ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)	15.00	ო. ეორდანია
	„დინამო“ (ქუთაისი) — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (თბილისი)	18.00	კ. კრავჩენკო
	„ლოკომოტივი“ (ხაშური) — „დინამო“ (ბათუმი)	18.00	ვ. გვარჯალაძე
	26 კომ. რაიონი—„დინამო“ (სოხუმი)	18.00	გ. აკობაშვილი
31 მაისი	„დინამო“ (ფოთი) — „დინამო“ (სტალინირი)	18.00	ს. პანდელოვი
	„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (გორი)	18.00	ვ. შავდია
	ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო — ოფიცერთა სახლი (თბილისი)	18.00	გ. აკობაშვილი
	„დინამო“ (ბათუმი)—„დინამო“ (ქუთაისი)	18.00	კ. კრავჩენკო
	„დინამო“ (სოხუმი) — „ლოკომოტივი“ (ხაშური)	18.00	ვ. გვარჯალაძე
4 ივნისი	„დინამო“ (სტალინირი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)	18.00	ვ. გვარჯალაძე
	„დინამო“ (გორი) — ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო	18.00	ს. პანდელოვი
	ოფიცერთა სახლი (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი)	18.00	კ. კრავჩენკო
	„დინამო“ (ქუთაისი)—„დინამო“ (სოხუმი)	18.00	ვ. შავდია
	„ლოკომოტივი“ (ხაშური)—26 კომ. რაიონი	18.00	პ. გავრილოვი
7 ივნისი	„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ფოთი)	18.00	ვ. გვარჯალაძე
	ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო — „დინამო“ (სტალინირი)	18.00	გ. აკობაშვილი
	„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (გორი)	18.00	ო. ეორდანია
	„დინამო“ (სოხუმი) — ოფიცერთა სახლი (თბილისი)	18.00	ს. პანდელოვი
	26 კომ. რაიონი — „დინამო“ (ქუთაისი)	18.00	პ. გავრილოვი

თამაშები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედანზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საკავშირო წოდებისათვის ბრძოლა დაიწყო

კვირას, 21 მაისს, შედგა პირველი ჯგუფის გუნდების პირველი კალენდარული მატჩები საქართველოს სსრ 1950 წლის გათამაშებაზე.

სტალინირში ადგილობრივი „დინამოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ თავიანთ გორელ თანაკლუბელებს. პირველ ნახევარში გორის ფეხბურთელებმა, რომლებიც უფრო ენერგიულად თამაშობდნენ, მოახერხეს ანგარიშის გახსნა. მეორე ნახევარშიც უპირატესობა სტუმრების მხარეზე იყო. მათ მოწინააღმდეგის კარში დამატებით ერთი ბურთი გაიტანეს და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 2:0.

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოსა“ და სამხედრო-საჰაერო ძალთა გუნდის შეხვედრა თბილისელთა გამარჯვებით დამთავრდა—4:0. სურათზე: ამ მატჩის ერთ-ერთი დაძაბული მომენტი მოსკოველთა საჯარიმო მოედანზე. მეკარე აკიმოვი იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო ვ. პუშკინისა (საკადესი).

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა „დინამოს“ სტადიონის საწვრთნელ მოედანზე მიიღო ხაშურის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები.

მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თბილისელთა უპირატესობით, მაგრამ ხაშურის გუნდი თავგადმოდებით იცავდა კარს. ტრამვაელებმა მხოლოდ შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეძლეს ბურთის გატანა.

მეორე ნახევარში ხაშურის ფეხბურთელებმა ვერ შეაჩერეს თბილისელთა ენერგიული იერიშები და კიდევ სამი ბურთი გაუშვეს თავიანთ კარში.

შეხვედრა დამთავრდა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით—4:0.

ქუთაისში საქართველოს გასული წლის ჩემპიონი — ადგილობრივი „ტორპედო“ შეხვდა ქუთაისის „დინამოს“.

მთელი თამაში დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მათ შედეგი არ გამოუღიათ. აღსანიშნავია, რომ როგორც ტორპედოელებს, ისე „დინამოს“ ფეხბურთელებს 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმიდან ანგარიშის გახსნის საშუალება ჰქონდათ, მაგრამ მათ ეს ვერ გამოიყენეს.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ—0:0.

ბათუმში ადგილობრივი „დინამოს“ ფეხბურთელთა წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდი.

პირველ ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო, მათ მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ერთი ბურთი. შესვენების შემდეგ ბათუმელებმა ანგარიში გაათანაბრეს.

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ—1:1.

23 მაისს ფოთში ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდების მატჩი დამთავრდა ფოთელების გამარჯვებით—2:1.

პირველ ადგილზე — საბჭოთა მოკრივეები

ვარშავაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალურმა და ფინალურმა შეხვედრებმა. მრავალათასიანი მაყურებელი გატაცებით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ფინეთისა და შვეიცარიის სპორტსმენთა დაძაბულ ასპარეზობას.

ნახევარფინალურ მატჩებში შვიდმა საბჭოთა მოკრივემ მიიღო მონაწილეობა. შესანიშნავად ჩაატარა ბრძოლა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა გ. ხანუკაშვილმა პოლონელ სოჩევინსკის წინააღმდეგ. მან ტექნიკურად სწორად განსაზღვრა თავისი ძალები, მესამე რაუნდში კრივის ბრწყინვალე ოსტატობა გამოამჟღავნა და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწია.

ს. მულინს (მსუბუქი წონა) ფინელ ლაიტინენთან შეხვედრისას თავიდანვე მწვავე იერიშების მოგერიება მოუხდა, მაგრამ იგი კარგად იცავდა თავს და მეორე რაუნდში მოწინააღმდეგეს ნოკაუტი გაუკეთა. ასეთივე შედეგები მოგვცა ორმა მომდევნო შეხვედრამ: ვ. მედნოვმა (სსრ კავშირი) მეორე რაუნდში „ძილის სამეფოში“ გაგზავნა პოლონელი სადოვსკი, ხოლო ს. შჩერბაკოვმა — უნგრელი მარტონი.

დანარჩენ მატჩებში გაიმარჯვეს ბ. სილჩევმა (სსრ კავშირი), შიმურამ (პოლონეთი), ი. ეგოროვმა (სსრ კავშირი).

...ვოისკა — პოლსკას სტადიონის ტრიბუნები 30.000 მაყურებლით აივსო. მქუხარე ტაშით შეხვდნენ მრავალრიცხოვანი ვარშაველები რინგზე საფინალო მატჩების მონაწილეთა გამოსვლას.

ამ დღის ტურნირი გახსნეს ა. ბულაკოვმა (სსრ კავშირი) და რიპკამ (რუმინეთი). მწვავე შებრძოლება ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა.

განსაკუთრებული ბრწყინვალებით ჩაატარა შეხვედრა გ. ხანუკაშვილმა ფინელი პირინენის წინააღმდეგ. თბილისელმა მოკრივემ გამოამჟღავნა თავდაცვითი ბრძოლის შესანიშნავი ტექნიკა და მძაფრი შეტევების უბადლო კლასი. ეს მატჩი ტექნიკისა და ტაქტიკის თვალსაზრისით საუკეთესო იყო ტურნირში. მსაჯებმა გამარჯვება ერთხმად მიანიჭეს ხანუკაშვილს. მაყურებლებმა მხურვალე ოვაციებით დაადასტურეს იგი.

ქვემსუბუქ წონაში ე. არისტაკისიანმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო პოლონელ ანტკევიჩთან. ვ. მედნოვმა (მსუბუქი წონა) დამარცხება განიცადა ბუდაისთან (უნგრეთი) მატჩში. ს. შჩერბაკოვმა მცირედი განსხვავებით წააგო შეხვედრა ლინკასთან (რუმინეთი)

საბჭოთა მოკრივემ, ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ა. შოკიკასმა მხოლოდ ორი რაუნდი მოანდომა უნგრელ კაპოჩისთან გამარჯვების მიღწევას. საბჭოთა მოკრივის ძლიერმა დარტყმებმა აიძულეს მოწინააღმდეგე მეორე რაუნდის ბოლოს უარი ეთქვა შეჯიბრების გაგრძელებაზე.

ამრიგად, ხუთი დღის დაძაბული ბრძოლების შედეგად, პირველი ადგილი მოიპოვა სსრ კავშირის გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 34 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა პოლონეთის კოლექტივმა (27 ქულა), მესამე—უნგრეთისამ (16), მეოთხე—რუმინეთისამ (11), მეხუთე — ფინეთისამ (6) და მეექვსე — შვეიცისამ (4).

საღამოს შედგა ტურნირის სადღესასწაულო დახურვა, სადაც გამარჯვებულთ გადაეცათ ჯილდოები. პოლონელი მოკრივის შიმურას წინადადებით საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას.

მრავალი მოულოდნელობით არის აღსავსე ჩვენი ქვეყნის 1950 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. წინა წლებში ამ დროისთვის ლიდერთა ჯგუფში თბილისის დინამოელთა გარდა მოსკოვის უძლიერესი გუნდები — „დინამო“, ცდკა, „სპარტაკი“ იყვნენ. მიმდინარე სეზონში კი მოსკოვის „დინამომ“, „ტორპედომ“, კიევის „დინამომ“ და ზოგიერთმა სხვა ძლიერმა კოლექტივმა ჯერჯერობით ტურნირის ცხრილის დაბლა „სართულში მოიკალათა“.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩემპიონატის მსვლელობის მაუწყებელ დაფასთან სისტემატურად იყრის თავს ფეხბურთის ბევრი მოყვარული. ისინი, ზოგი განცვიფრებით, ზოგი აღტაცებითა და სიამაყის გრძნობით, ზოგიც ნაღვლიანი მზერით სტენდთან ათასგვარი გამოთვლებითა და ანგარიშებით არიან გართული.

სურათზე: ფეხბურთის მოყვარულნი დაფასთან.

ფოტო კ. კრიმსკისა.

თასი მოიგეს „დინამოს“ მძლეოსნებმა

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე 3 დღეს მიმდინარეობდა მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება „თბილისის თასის“ მოსაპოვებლად. მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ნაუკას“, „ბოლშევიკის“ „კრასნოე ზნამიას“, „სპარტაკის“, „ტრუდის“, „მედიკის“ და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები.

80 მეტრზე თარჯრბენში ქალთა შორის ყველას აჯობა დინამოელმა ე. გოკიელმა. მამაკაცთა შორის თარჯრბენში გაიმარჯვა „ბოლშევიკის“ წარმომადგენელმა მ. კუტმანმა.

დინამოელმა ნ. დუმბაძემ 44,56 მეტრზე ტყორცნა ბადრო და პირველი ადგილი დაიკავა. მამაკაცთა შორის გაიმარჯვა ი. ივლევმა („დინამო“).

ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა სიმაღლეზე ხტომაში ნ. ხნიკინამ. მან აიღო 150 სანტიმეტრი. მანვე გაიმარჯვა 200 მეტრზე რბენაში (26,2 წამი) და სიგრძეზე ხტომაში (5,77 მეტრი).

საქართველოს რეკორდსმენმა დინამოელმა გ. ბრიტვინამ დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი შუბის ტყორცნაში (42,40 მეტრი). ვ. შმაკოვმა („ბოლშევიკი“) შუბი ტყორცნა 57,79 მეტრზე.

ლ. სანაძემ („ნაუკა“) პირველობა მოიპოვა რბენაში 100 მეტრზე (11,0 წამი) და 400 მეტრზე (51,5 წამი). 5.000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ბ. ტყეშელაშვილმა („ნაუკა“) — 16:08,8, ხოლო 1.500 მეტრზე — ვ. ვაშაკიძემ („ბოლშევიკი“)—4 : 16,8.

დინამოელმა ვ. გრენკომ ორი ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა სპორტულ სიარულში 5 კილომეტრზე (26 : 29,8) და 10 კილომეტრზე (49 : 52,0).

დაძაბული ბრძოლის შემდეგ „თბილისის თასი“ მოიგო „დინამოს“ გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 24.392 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ „ნაუკას“ წარმომადგენლები (19.242 ქულა), მესამეზე — „ბოლშევიკის“ სპორტსმენები (18.239 ქულა).

ვ. თევდორაძე,
ს. ალექსიშვილი.

ქარიშხლის შემდეგ

შემოიძარცვეს თეთრი თავშალი
და ნამქერებმა გზები ჩარაზეს,
დაგვიქვეითდა ნისლის ლაშქარი
საყივრაზე.*
მწვანე გულმკერდი აივსეს თოვლით
და ნისლიც მოხჩანს მიმოფანტული,
ნელი ნიავი ბუტბუტებს
თრთოლვით —
როკორც ფანდური.

ვ. გურული

სოფ. გომი, მახარაძის რაიონი.

*) მწვერვალია რაჭაში. **რედ.**

გორის გზატკეცილზე

გასულ კვირას გორის გზატკეცილზე ჩატარდა მოტომარული არმიის სელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ ავტომოტოკლუბის პირველობაზე.

შეჯიბრების მონაწილეები 350 კბ. სმ. კლასის მშობლიური მანქანებით ერთმანეთს საინტერესო ბრძოლებში შეეცილენ პირველ ადგილებს 100 კილომეტრიან მარულაში.

ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ო. ხარაძე, რომელმაც უჩვენა 1.04:14,4.

რესპუბლიკური რეკორდის დასამყარებლად 125 კბ. სმ. მანქანით სტარტზე 50 და 100 კილომეტრის დასაფარავად გამოვიდა სპორტის ოსტატი ა. ხაბურზანია („ბურევესტნიკი“). ხაბურზანიას მიზანი წარმატებით დაგვირგვინდა. სპორტსმენმა 50 კილომეტრზე აჩვენა 37:30,0, ხოლო 100 კილომეტრზე — 1.15:18,8.

წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სპორტული წრეები.

სურათზე: ფიზკულტურის ენთუზიასტი გ. ლაფიაშვილი ახალგაზრდა კოლმეურნეებს უჩვენებს ორძელზე ვარჯიშის ილეთებს.

ფოტო მ. დათუაშვილისა

ახალი წიგნები

„სსრ კავშირის ერთიანი საჭადრაკო კოდექსი“

მოსახლეობის ფართო მასებში ჭადრაკის თამაშის ერთიანი წესის დასანერგავად საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ქართულ ენაზე თარგმნა და ახლახან ცალკე წიგნად გამოსცა ჭადრაკის წესთა კრებული — „სსრ კავშირის ერთიანი საჭადრაკო კოდექსი“.

წიგნის პირველ განყოფილებაში გაშუქებულია ჭადრაკის თამაშის წესები, რომელიც 21 მუხლს შეიცავს. თვითეული მუხლი დასაბუთებულია, რაც მეტად აადვილებს მის გამოყენებას.

თარგმანი შესრულებულია ა. ფალავანდიშვილის მიერ.

ი. გოგრგაძე

თავისუფალ დროს

აბა სცადეთ დალაგება!

შეადგინა ა. ხასკინმა

(მოსკოვი)

შაშის დაფის ორ ჰორიზონტალურ მწკრივში განლაგებულია 8 თეთრი და 8 შავი შაში.

ეს შაშები დაფაზე უნდა დალაგდეს ისე, რომ თვითეულ ჰორიზონტალურ და თვითეულ ვერტიკალურ მწკრივში იყოს ორი სხვადასხვა შაში (ერთი თეთრი და ერთი შავი). ყველა თეთრი შაში უნდა იყოს შავ უჯრედზე, შავი კი თეთრზე.

ორ ცენტრალურ დიაგონალზე უნ-



და იყოს ერთი ფერის ორი შაში. არც ერთ დანარჩენ დიაგონალზე არ უნდა იყოს ორ შაშზე მეტი.

აბა, მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება ამის გაკეთება!

უცხოეთში

ასე თამაშობენ ფეხბურთს არგენტინაში

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკის სპორტულ წრეებს შესაძლებლობა მიეცათ დაეუმაყოფილებინათ „მწვავე შეგრძნებათა“ მდა. ეს მოხდა „ბოკა“—„ჟუნიორეს ინდიპენდიენტეს“ მატჩის დროს არგენტინის ჩემპიონატში, როცა ანგარიში 1:0 იყო „ბოკას“ სასარგებლოდ.

ამ ანგარიშმა დაიმედა გუნდის ათასობით გულშემატკივარი მასში, რომ „ბოკა“ გამარჯვებული დასტოვებდა მინდორს. მაგრამ... მასპინძლების კართან კუთხური დარტყმა გახორციელდა და იგი მოულოდნელი ტპილოგით დაგვირგვინდა. „ბოკას“ კარებთან არეულობის დროს მეკარე გრინობადაკარგული დაეცა ძირს, ხოლო „ინდიპენდიენტეს“ თავდამსხმელები ბურთიანად ბადეში გაეხვიენენ.

ამან მოთმინებიდან გამოიყვანა არა მარტო „ბოკას“ მოთამაშეები, არამედ მაყურებლებიც, მაგრამ „მოქმედება“ სწორედ ფეხბურთელებმა დაიწყეს.

ნახევარმცველი პერონსინი („ბოკა“) თავს დაესხა მსაჯს, თუმცა მას თაეისი გუნდის თავდამსხმელები იცავდნენ. მსაჯი „გულგრილად“ დაუხვდა გამხეცებულ მოძალადეს და მარცხენა ხელის მძლავრი დარტყმით ნოკაპში ნოკაუტი გაუკეთა პერონსინის.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგ შეტაკებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაყურებლებმა, — გაცვივდნენ მოედანზე და მოთამაშეებსა და მსაჯს უწყალო ცემა-ტყეპა დაუწყეს.

გაცხარებული „სპორძოლო მოქმედებების“ დროს გამოჩნდა პოლიცია, რომელიც ცრემლმდენი ბომბების საშუალებით ცდილობდა დაემშვიდებინა აბობოქრებული ხალხი. მაყურებლებიც არ დარჩნენ ვალში და პოლიციას აგურები დაუშინეს.

საბოლოოდ, ცრემლმდენმა ბომბებმა, როგორც ჩანს, თავისი გაიტანეს და აგურებით მოფენილ მოედანზე დარჩა პოლიცია, ხოლო სტადიონის ფარგლებს გარეთ — „აცრემლებული“ და დასახჩერებული ხალხი.

არგენტინისათვის ამ ჩვეულებრივი საფეხბურთო მატჩის ბალანსი ასეთია: ნოკაუტირებული ნახევარმცველი, ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანილი მსაჯი, ძმიმედ დაჭრილი სამი მოთამაშე და აბამდე მსუბუქად დაჭრილი მაყურებელი.

აქვე საგულისხმოა, რომ „ბოკას“ გათამაშების ცხრილში უკანასკნელი ადგილი უკავია.

ასე თამაშობენ ფეხბურთს სამხრეთ ამერიკაში, იქ. სადაც სპორტი წარმოადგენს ბიზნესს, სიძულვილისა და შურლის გაღვივების საშუალებას.

პასუხისმგებელი რედაქტორი
მ. კაკაბაძე

ძველი საქართველოს ცხენოსანი ქალები

გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას“ 1950 წლის პირველი იანვრის ნომერში დაბეჭდილია ამხ. კ. ნაჭყებიას წერილი „ცხენბურთისა და პოლოს შესახებ“.

სხვა მასალათა შორის ამ წერილში მოყვანილია ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც პანეგირიკს წარმოადგენს დოღში დაწინაურებულ ცხენზე, რომლის საცქერადაც „ხედვად გამოვლენ ქალები“:

„ცხენო, პატრონიმც გენაცვლე,
შევარდენს გიგავს თვალები,
ოთხითავ დაჭედილი ხარ,
ფეხს გაქვს მოწყობილ ნალები,
დოღში წინ და წინ მომიხვალ,
ხედვად გამოვლენ ქალები“.

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი ქალები დოღის მარტო მაცქერალნი როდი ყოფილან. ჩვენს საისტორიო წყაროებში შემონახულია არა ერთი საყურადღებო ცნობა ცხენოსანი ქალების შესახებ. აი, ზოგიერთი ამ ცნობებიდან.

თავდაცვითი ბრძოლებისათვის მზადყოფნის მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართველ ქალებს პატარაობიდანვე წერა-კითხვასა და საოჯახო საქმის გარდა, ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებასაც ასწავლიდნენ. XVII საუკუნის მოგზაური პაოლო მარია ფაინცელი წერდა: „ქართველი დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანი არიან, ცხენოსნობაც იციან, სანადირდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდისარი და კაპარჭი“ (ლ. ასათიანი. „ქართული მწერლობა“. 1949 წ. გვ. 3).

XVIII საუკუნეში ცხენოსნის განთქმული სახელი ჰქონია დარხეული კავთისხეველ ნინო ქვლივიძის ქვრივს. პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს: „ჯერეთ რვისა წლისა (გიორგი მეცამეტე—ი. ბ.) დანიშნეს ჩერქეზ ბატონის ქალზედ. განსასწავლებლად ქალისა წარუვლინეს მას შარიდან შალიკაშვილი, ექვსი მოახლე ქალი და ქვლივიძისა ქვრივი ნინო სოფლისა კავთისხევიდამ, დედაკაცი მწიგნობარი, ძლიერი სიტყვითა და ბრძენი ჭაუთა. დიდი ცხენოსანი იყოო, ბრძანებდა თვით მეფე გიორგი და გულოვნობისათვის მისისა დიდად პატივს ცემდნენ მას სასახლეშიო“ (პ. იოსელიანი. „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 1936 წ. გვ. 7).

ქართველი ქალების ცხენოსნობის ხელოვნებით გაკვირვებული ეთნოგრაფი ა. ჰაკტჰაუზენი წერდა თავის თბილისის პერიოდის დღიურში: „მოჯირითდა ქართველი ეროვნულ სამოსში, მასთან ქართველი მანდილოსანი და მხლებელი. ქალმა შეაჩერა ცხენი, სხვების დაუხმარებლად სწრაფად და გრაციოზულად ჩამოხტა ცხენიდან, გაასწორა უნაგირზე გაწყვეტილი ღვედი, ასეთივე სისწრაფით შეხტა უნაგირზე და წამში თვალთაგან მოგვეფარა“ (ა. ჰაკტჰაუზენი. „ამიერკავკასიის მხარე“, 1857 წ. ნაწილი 1, გვ. 79).

ცხენოსნობაში სახელგანთქმულნი იყვნენ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უნატიფესი ასულნი ნინო და ეკატერინე. 1835 წლის 22 მაისს ნინო ჭავჭავაძე წინანდლიდან წერდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენ საკმაოდ კარგად და სასიამოვნოთ ვატარებთ დროს, ვკითხულობთ, ვკერავთ და ცხენით ვსეირნობთ“ (ა. ჭავჭავაძე. „თხზულებანი“. 1940 წ.).

ცხენოსნობა განსაკუთრებით გამოადგა ეკატერინე ჭავჭავაძეს, რომელიც შემდეგ სამეგრელოს მმართველი გახდა. 1855 წელს, როცა თურქი დამპყრობლები შემოესივნენ საქართველოს, ეკატერინე ყაბალახწაკრული და იარაღასხმული, ხმლით ხელში, ცხენზე მჯდომი მიუძღოდა სამშობლოს დამცველთა რაზმს. კ. ბოროზდინი გადმოგვცემს: „ეკატერინე მეგრელთა მილიციას გაუძღვა და მონაწილეობა მიიღო რამდენსამე პარტიზანულ ლაშქრობაში ოსმალების წინააღმდეგ. ნაბადი ჰქონდა მოსხმული, თავი ყაბალახით წაკრული, ცხენზე შემჯდარი მტრის ტყვიას უშვერდა გულს და მისი ზუზუნი ხშირად ესმოდა“ (კ. ბოროზდინი. „სამეგრელო“. 1934 წ. გვ. 67).

ჩვენი ეპოქის ცხენოსანი ქალები ღირსეულად აგრძელებენ ძველი მოჯირითე ქართველი ქალების ძვირფას ტრადიციებს.

ი. ბალახაშვილი

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი

აცხადებს

1950-51 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას
ქართულ და რუსულ სექტორზე

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს.

სწავლის ხანგრძლივობა — სამი წელი.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე. ტექნიკუმში შემსვლელთ დამთავრებული უნდა ჰქონდეთ არასრული საშუალო სკოლის კურსი. არასრული საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრებულნი უგამოცდოდ მიიღებიან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-25 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა (წერა, ზეპირი) ქართულ სექტორზე შემსვლელთათვის; 2. რუსული ენა (წერა, ზეპირი); 3. მათემატიკა (წერა, ზეპირი); 4. სსრ კავშირის კონსტიტუცია; 5. ფიზიკური მომზადება.

იმ პირთ, რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ „5“ ან „4“-ზე, დაენიშნებათ სტიპენდია 185 მანეთიდან 210 მანეთამდე.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სპორტული ტანსაცმლით, რაიონიდან ჩამოსულნი კი—საერთო საცხოვრებლითაც.

ტექნიკუმთან არსებობს სასადილო.

განცხადებების მიღება წარმოებს **15 აგვისტომდე.** მისამართი: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6 (ლენინის სახ. სტადიონი), ტელეფონი — 3-39-22.

დირექცია

გაზეთი გამოდის პარასკევობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, II სართული. ტელეფონი 3-90-34.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 15.000 უე 03662